საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 21 0001205400

09/11/2021

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2021 წლის 27 მაისს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „განათლების მეცნიერებების" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ივნისის №584445 ბრძანების საფუძველზე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 აგვისტოს №800444 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 27 აგვისტოს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს აღმოსავლეთ უნივერსიტეტში, ხოლო 2021 წლის 13 ოქტომბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 26 ოქტომბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება და პირველი სტანდარტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 15 ხმით, არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2021 წლის 27 მაისის №580/01-01-31-09 (ცენტრში რეგისტრაციის №540134, 08.06.2021) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის №1205243 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები ნაწილობრივ გაიზიარა და განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. კურსი "კვლევის მეთოდები განათლებაში" სწავლის შედეგები და სასწავლო მასალა მოვიდეს შესაბამისობაში სადოქტორო საფეხურთან, კურსის შინაარსი და შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს დოქტორანტების პრაქტიკული კვლევის უნარების განვითარეაზე.

2. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სპეციფიკასთან.

რჩევები:

1. სასურველია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, მაგალითად, პოტენციური დამსაქმებლები უფრო ინტერსიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შეფასების პროცესში.
2. პრეზენტაციის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 28%, თუმცა პრეზენტაცია შედგება 5 კომპონენტისაგან და თითოეულის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 7%, რაც ჯამში 28%-ის ნაცვლად შეადგენს 35%-ს; შესაძლოა, ეს არის ტექნიკური უზუსტობა და სასურველია დანართ 14.4-ში (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა) გადამოწმდეს და დაზუსტდეს სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციისათვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული.
3. პროგრამის სამომავლო განვითარების მიზნით სასურველია შრომის ბაზრის აღწერითი ნაწილი გაძლიერდეს ემპირიული კვლევის საფუძველზე.
4. სადოქტორო დებულებაში განმარტებულია, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის წინაპირობას, თუმცა ეს დებულება არ განმარტავს, როგორ უზრუნველყოფს პროგრამა, რომ სტუდენტი ასრულებს კვლევით პროექტს და ასევე, არ განმარტავს ისეთ სცენარს, როდესაც სტუდენტი არ ასრულებს კვლევით პროექტს.
5. მნიშვნელოვანია თუ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებაში ჩაერთვებიან დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები.
6. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ყველა დაინტერესებული პირის აქტიური ჩართულობა, მათ შორის პოტენციური დამსაქმებლის.
7. სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაემატოს განათლების სფეროში მუშაობის წინარე გამოცდილება; განათლების სფეროში მიღებული წინარე გამოცდილება დაეხმარებოდა კანდიდატს უკეთ დაგეგმოს საკუთარი სწავლისა და კვლევის პროცესი სადოქტორო პროგრამაზე სწავლისა და კვლევისას.
8. უნივერსიტეტმა მოახდინოს აკადემიური პერსონალის ჩართულობის ფორმალიზება, მაგ. უცხოელ სპეციალისტებთან შესაბამისი კონტრაქტების გაფორმება, რომ ნათლად გამოჩნდეს მათი პროგრამაში ჩართულობის გრძელვადიანი პერსპექტივა.
9. აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემაში არსებული ინდიკატორები, ანუ დასახული მიზნების მისაღწევი ნიშნულები, სასურველია იყოს გაზომვადი.
10. სასურველია ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის ფორმალური დოკუმენტის შემუშავება, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოწვეული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები.
11. სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს, რომ დოქტორანტებს წვდომა ქონდეთ ისეთ პროგრამებზე, როგორიცაა, მაგ. SPSS, NVivo, ATLASti, თუ სხვა. იგივე ეხება ბიბლიოგრაფიული მასალების სისტემატიზების დამხმარე საშუალებებს - EndNote, Mendeley, Zotero (ღია წყარო).

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე, 2022 წლის 9 მაისი.
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 9 ნოემბერს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მეცნიერებები Education Sciences
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების დოქტორი Doctor of Education Sciences
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0111
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	შატილისქ. No4; ქ.თბილისი, 0178, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 9 ნოემბერი

17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 6 თვე, 2022 წლის 9 მაისამდე
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 9 ნოემბერი